მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აგვისტო ელული 8 (432) (5777) 2017

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი ისრაელში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 24-25 ივლისს ოფიციალური ვიზიტით ისრაელში იმყოფებოდა. მასთან ერთად გახლდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თედო ჯაფარიძე.

ბატონი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიაჰუს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობაზე, აღინიშა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის მონაცემების ზრდის დინამიკა და ამ მიმართულებით არსებული კიდევ უფრო დიდი პოტენციალი. ასევე განიხილეს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხები.

გიორგი კვირიკაშვილმა ბინიამინ ნეთანიაჰუ საპასუხო ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა ისრაელის პრეზიდენტს რეუვენ რივლინს. მხარეებმა კონკრეტულ სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის პოზიტიურ დინამიკასა და ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებაზე ისაუბრეს.

ბატონი გიორგი კვირიკაშვილი ისრაელის სახელმწიფოს ქნესეთის თავმჯდომარეს იული ედელშტეინს შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივ წარმატებულ თანამშრომლობაზე. ეს თანამშრომლობა ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ვითარდება. ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ 25 წლიან დიპლომატიური ურთიერთობას და მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

გიორგი კვირიკაშვილმა ქნესეთში სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო,ხოლო საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი დატოვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გ. კვირიკაშვილი შეხვდა ისრაელში მცხოვრება ქართველ ებრაელთა ასამდე წარმომადგენელს.

საქართველოსა და ისრაელს, ქართველ და ებრაელ ერებს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობაზე ისაუბრა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ციპი ხოტოველმა. ბატონი გიორგი კვირიკაშვილი პალესტინის და წმინდა ქალაქ იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილოს III გვირგვინიანი ოქროს ჯვრით და ვარსკვლავით დააჯილდოვა. პალესტინისა და წმინდა ქალაქის იერუსალიმის პატრიარქისაგან მსგავსი ჯილდო უმაღლესი თანამდებობის პირმა პირველად მიიღო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პატივი მიაგო ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას.

ბატონი გ. კვირიკაშვილი ისრაელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საერთაშორისო ფონდ Jerusalem Venture Partners (JVP)-ის სათაო ოფისში იმყოფებოდა. აქ პრემიერ-მინისტრს დეტალურად გააცნეს თავიანთი საქმიანობის მიმართულება და სპეციფიკა, განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ისრაელში ვიზიტის დასრულების შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მთავრობის სხდომაზე აღნიშნა:

— ისრაელში შედგა ძალიან მნიშვნელოვანი, ნაყოფიერი ვიზიტი, რომელსაც აუცილებლად ექნება კონკრეტული შედეგები.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი

24 ივლისს ევრაზიის ებრაელთა კონგრესის რიგგარეშე გენერალურმა ასამბლეამ ბიზნესმენი და ფილანტროპი მიხეილ (მიხო) მირილაშვილი ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტად აირჩია.

დაწვრილებით იხილეთ მე-3,4,5-ე გვერდები

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ისრაელისა და ებრაელობის ირგვლივ

რანდენი ებრაელი იყო და არის მსოფლიოში?

მეორე ტაძრის იავარქმნის პერიოდში (ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე) სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მსოფლიოში იყო ერთიდან სამ მილიონამდე ებრაელი.

შუა საუკუნეებში — 1492 წელს ესპანეთიდან ებრაელების განდევნის ბრძანების გამოსვლამდე, მსოფლიოში იყო 1.4 მილიონი ებრაელი.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წ წ) წინ,1939 წლის აღწერით, მსოფლიოში იყო 16.5 მილიონი ებრაელი.

ამ წლებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ებრაული ცენტრები გახლდათ პოლონეთში-ამ ქვეყანაში ცხოვრობდა 3.3 მილიონი ებრაელი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცოცხალი დარჩა 100 000 ებრაელი.

2016 წლის მეორე ნახევარში მსოფლიოში იყო 14.5 მილიონი ებრაელი. ამათგან 6.33 აღთქმულ მიწაზე ცხოვრობს,

ჩრდილოეთ ამერიკაში — 6.1 მილიონი,
სამხრეთ ამერიკაში — 380 000,
არგენტინაში — 180 000
ბრაზილიაში — 86 000.

არგენტინის ებრაელობის დიდი უმეტესობა რუსეთის იმპერიიდან გადასახლებულთა შთამომავლობაა. როგორც ადრე ვიუწყებოდით, ამათ შორის არის ძალიან მცირერიცხოვანი ქართველი ებრაელობა.

ბრაზილიის ებრაელობა კი პორტუგალიიდან და საფრანგეთიდან გახლავთ ჩასული.

ევროპაში ცხოვრობს 1მილ.400 000 ებრაელი. ამათგან:

საფრანგეთში — 460 000 (თუმცა ამ სამიოდე წლის წინათ, ნახევარ მილიონზე მეტი იყო)
დიდ ბრიტანეთში — 300 000 და სისტემატურად იზრდება,
რუსეთში — 200 000 და სისტემატურად მცირდება
გერმანიაში — 108 000
ავსტრალიის კონტინეტზე — 130 000

ებრაელთა რაოდენობის მიხედვით დღეს ლიდერობს ისრაელი-ებრაელთა უძველესი სამშობლო.

ახალი გამოკითხვა

სმიტის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ისრაელელთა 65% ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გაჭიანურების მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ ბოლო ხანს ისრაელს პალესტინაზე დამაჯერებელი გამარჯვება არ მოუპოვებია. გაზეთ „მაარივის“ ინფორმაციით, გამოკითხულთა 85% მიიჩნევს :პალესტინელებთან მომდევნო შეჯახებისას ისრაელმა ძალზე დამაჯერებელი გამარჯვება უნდა მოიპოვოს-პალესტინელებს გამანადგურებელი დარტყმა უნდა მიაყენოს.პალესტინელებთან შეუთანხმებლობის მთავარ მიზეზად კი იმას მიიჩნევენ, რომ მათ-პალესტინელებს არ სურთ მიიღონ და აღიარონ ისრაელის ებრაელიზაცია.14% კი ყველაფრის სათავედ უცხოეთის ქვეყნებიდან ისრაელისადმი არასაკმარის მხარდაჭერას მიიჩნევს, 14% კი შეუთანხმებლობის მიზეზად1948 წელს გაქცეულ პალესტინელთა დაბრუნების უფლების აღიარება მიაჩნია. ისრაელელთა 58% აცხადებს: პალესტინელებთან საერთო ენის გამონახვა მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა მათი ხელისუფლება ისრაელთან ბრძოლაში დამარცხებას აღიარებს, 67%კი ფიქრობს: ისრაელი გამარჯვებული იქნება მაშინ, როცა პალესტინელები აღიარებენ ისრაელის სახელმწიფოს ებრაულ ხასიათს.

ბენ გურიონის აეროპორტის აღიარება

გავლენიანმა ამერიკულმა-ტურისტებისათვის განკუთვნილმა - ჟურნალმა „ თრაველ ანდ ეისურე“ გამოაქვეყნა 2017 წლის ტურისტული ობიექტების ტრადიციული რეიტინგი. მსოფლიოს საუკეთესო აეროპორტების კატეგორიაში თელ-ავივის დავით ბენ გურიონის სახ აეროპორტმა მერვე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს საუკეთესო აეროპორტად მიჩნეული იქნა სინგაპურის ქალაქ ჩანგის აეროპორტი, რომელშიც არის უფასო კინოთეატრი, სპაცენტრი, ბაღები, ბასეინი. მეორე ადგილზეა ყატარის დედაქალაქის-დოხას აეროპორტი, შემდეგ მოდის დუბაის, მერე ონჩეონის აეროპორტი სამხრეთ კორეაში და ჰონკონგის აეროპორტი.

ევროპის ყველაზე საუკეთესო აეროპორტად მიჩნეული იქნა ციურიხისა (შვეიცარია), მეშვიდე ადგილზეა ტოკიოს ხენედას, მერვეზე, როგორც უკვე ითქვა, თელ-ავივის ბენგურიონის სახ,მეცხრეზე-აბუ-დაბის (არაბთა გაერთიანებული საემიროები),მეათეზე კი ამსტერდამის სხიპხოლის აეროპორტი.

უნგრეთი სოროსის წინააღმდეგ

ფინანსისტმა და მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა უნგრეთის ანტიმიგრაციული პოლიტიკა ანტისემიტურ აქციად შეაფასა.

— შეშფოთებული ვარ იმით,რომ უნგრეთის რეჟიმი თავის დეზინფორმაციულ კომპანიაში ანტისემიტურ, შეურაცხმყოფელ რიტორიკას იყენებს. — განაცხადა სოროსმა.

უნგრეთის ქალაქებში უხვადაა ბანერები, რომელზეც გამოხატულია მომცინარე სოროსი

და ახლავს წარწერა: „მოდით, არ მივცეთ სოროსს იმის უფლება, რომ ბოლოს მან იცინოს!“ ეს არის პასუხი მთავრობის განცხდებაზე: სოროსს განზრახული აქვს უნგრეთის ხელისუფლებას მიგრანტების მიღება აიძულოს-ამას „გარდიანი“ იტყობინება.

მას შემდეგ, რაც სარეკლამო ბანერებზე, ტელევიზიაში სოროსის საწინააღმდეგო მოწოდებები გამოჩნდა, მოხშირდა ანტისემიტური გრაფიტები. უნგრეთის დიდმა ებრაულმა ორგანიზაციამ Mazsihisiz უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს მოუწოდა შეწყვიტოს ეს კომპანია. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ანდრას გეისლერმა კი დაწერა: „ასეთი გესლიანი ცნობები მთელ უნგრეთს ვნებს“, ხოლო ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენლები — ებრაელი აქტივისტები ამ პლაკატებს ხსნიან.

ჯორჯ სოროსმა, რომელსაც ორმაგი-ამერიკისა და უნგრეთის მოქალაქეობა აქვს, კმაყოფილება გამოხატა იმის გამო რომ ცალკეულ მოქალაქეებთან ერთად, მის დასაცავად ხმა აიმაღლა ებრაულმა ორგანიზაციამ. სოროსის პრესმდივანმა მაიკლ ვახონმა უნგრეთში წამოწყებული კომპანია ასე დაახასიათა: „გვახსენებს ევროპის ყველაზე ბნელ საათებს, აშკარა ანტისემიტური მინიშნებით.“ ორბანმა კი სოროსი დაადანაშაულა იმაში, რომ „ეს სპეკულიანტი მილიარდერი სარგებლობს რა თავისი სიმდიდრითა და იმ მოქალაქეთა ჯგუფებით, რომლებსაც აფინანსებს, სურს ევროკავშირი დაასახლოს მილიონებით მიგრანტებით“

უნგრეთში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იოსი ამრანმაც ასევე გააკრიტიკა ხელისუფლების კომპანია: „ყველაფერი ეს გვახსენებს სამწუხარო ფაქტებს, თესავს სიძულვილსა და შიშს“თუმცა, მომდევნო დღეს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს დავალებით, გაავრცელა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სოროსის კრიტიკა ლეგიტიმურია. წერილში აღნიშნულია: „მართალია, ისრაელი გმობს ანტისემიტიზმს, მაგრამ სოროსი სისტემურად ზიანს აყენებს ისრაელის დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას, აფინანსებს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც კიცხავენ ებრაულ სახელმწიფოს და ეჭვქვეშ აყენებს მის უფლებას თავდაცვაზე“

დარბევა და ბოდიში

2002 წელს პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც 1941 წლის 10 ივლისს პოლონეთის სოფელ ედვანბეში პოლონელთა ერთმა ჯგუფმა მოაწყო ებრაელთა დარბევა,რომლის დროსაც დაიღუპა სულ ცოტა 340 მათი მეზობელი ებარელი. ქალები დახოცეს, მამაკაცები კი შენობაში გამოამწყვდიეს და დაწვეს.

ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის შეფასებით, ეს დანაშაული თითქოს გერმანელ ფაშისტთა ბრძანებით მოხდა (ბევრი მოწმე იგონებს, რომ იმ დღეს სოფელში უამრავი სამხედროფორმიანი გერმანელი გამოჩნდა), მაგრამ დანაშაულის უშუალო შემსრულებელი სულ ცოტა 40 ამ სოფლისა და შემოგარენის მკვიდრი პოლონელი გახლდათ.

ამასწინათ გაიმართა ამ ტრაგედიის 76 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელზეც ეპისკოპოსმა რაფაელ მარკოვსკიმ ბოდიში მოიხადა პოლონელთა ძალადობრივი საქციელის გამო:

-ეს დიდი ტკივილი და სინდისის ქენჯნაა. ამ ტკივილის გამო ყოველ ებრაელს მიტევებას ვთხოვ. როგორც დრო გვაჩვენებს,როცა ადამიანის გულს ბოროტება და სიძულვილი ეუფლება,ხდება ადამიანის შინაგანი პარალიზირება და ამას — მსხვერპლთა ფიზიკური და ჯალათთა სულიერი სიკვდილისაკენ მივყევართ. ეკლესია დასტირის ყველას, ვინც აქ,ამ ადგილას ტკივილი და დამცირება- მოულოდნელი სიკვდილი განიცადა,მაგრამ ამავე დროს ეკლესია მწუხარებას გამოთქვამს პოლონელთა შვილების გამო, განსაკუთრებით კი იმ კათოლიკეთა გამო, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ადამიანთა დამცირებასა და მოკვდინებაში — თქვა ეპისკოპოსმა რაფაელ მარკოვსკიმ სამგლოვიარო ღონისძიებაზე.

ეკონომიკური ზრდა

16 ივლისს ისრაელის ცენტრალურმა სტატისტიკურმა ბიურომ გამოაცხადა,რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ისრაელის წლიურმა ეკონომიკის ზრდამ 1.4% შეადგინა. შედარებისათვის: შარშან მეოთხე კვარტალში ასეთი ზრდა 4.7%გახლდათ, ხოლო პირველ კვარტალში 4.1%

რა იქნება ხვალ, ანუ რა ელის ინგლისს?

ინგლისის მოსახლეობა 66 მილიონია. ამათგან 4 მილიონი გახლავთ მუსლიმი.

რას მიაღწია ოთხმილიონიანმა მუსლიმმა მოსახლეობამ 66 მილიონიან ინგლისში?

ლონდონის მერი-მუსლიმია
ბირმინგემის მერი-მუსლიმია
ლიდსის მერი მუსლიმია,
ბლეკბერნის მერი მუსლიმია
შეფილდის მერი მუსლიმია
ოქსფორდის მერი მუსლიმია,

ლუტონის მერი მუსლიმია
ოლდემის მერი მუსლიმია
როჩდეილის მერი მუსლიმია,
ინგლისში სამი ათასზე მეტი მეჩეთია,
ინგლისში 130 მუსლიმური-შარიათის სასამართლოა,
ინგლისში შარიათის 50-ზე მეტი საბჭოა,
ინგლისში არის აკრძალული ზონები,რომელშიც მხოლოდ მუსლიმები დაიშვებიან.
ინგლისის მუსლიმ ქალთა 78% არ მსახურობს,ცხოვრობს უფასო საცხოვრებელში,
ინგლისის მუსლიმ მამაკაცთა 63% არ მსახურობს, ცხოვრობს უფასო საცხოვრებელში,

(გაგრძელება მე-6-ე გვერდზე)

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის რიგგარეშე გენერალური ასამბლეა

24-25 ივლისს ისრაელის ქალაქ რამათ განში-მაქაბის ცენტრში- გაიმართა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის რიგგარეშე გენერალური ასამბლეა.

გენერალურ ასამბლეას 23-24 ივლისს წინ უძღოდა კონგრესის გენერალური საბჭოს სხდომები, რომელზეც შეიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოგზავნილი ებრაელი მოღვაწეები-გენსაბჭოს წევრები.

ვიდრე მკითხველს წარმოვუდგენდეთ გენერალური საბჭოს, შემდეგ კი გენერალური ასამბლეიის მუშაობის ქრონიკას, საჭიროა, აუცილებელიც კი, მიმოვიხილოთ ბოლო წლების განმავლობაში ევრაზიის ებრაელთა კონგრესში შექმნილი მდგომარეობა: მკითხველს შევახსენებთ, რომ ევრაზიის ებრაელთა კონგრესი ოფიციალურად ჩამოყალიბდა 2002 წელს. იმ წლებში ამ კონგრესის შექმნა-ჩამოყალიბება ებრაულ სამყაროში დიდი მნიშვნელობის ფაქტად იქნა მიჩნეული, ხოლო ამ კონგრესის პირველი პრეზიდენტი- ცნობილი ბიზნესმენი ალექსანდრე მაშკევიჩი იმ ებრაელ ლიდერად, რომელიც ჩინებულად გრძნობს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელობის პრობლემებს და გულითადად იღწვის მათი მოგვარებისათვის. მართლაც ასე იყო: ალექსანდრე მაშკევიჩი არა მხოლოდ გრძნობდა ამ რეგიონის ქვეყნების ებრაელობის პრობლემებს,წარმატებით იბრძოდა მათი დროული მოგვარებისათვის.

კონგრესის დაარსების პირველსავე ეტაპზე, კონგრესის წევრნი გახდნენ ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ოცამდე წარმომადგენელი. დღეს კი ევრაზიის ებრაელთა კონგრესი აერთიანებს ამ რეგიონების 27 სახელმწიფოს ებრაელობას, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამათ შორისაა საქართველოს ებრაელობა, რომელიც პირველივე დღიდან გახლავთ კონგრესის წევრი ქვეყანა-მეტიც: ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობდით კონგრესის შექმნის ხანგრძლივი მოსამზადებელ პერიოდის მუშაობაში.

დღეს კონგრესის არსებობის პირველ ათ წელიწადს შეიძლება, ოქროს ხანა ვუწოდოთ. თუ კონგრესმა რაიმე სერიოზული გააკეთა და რომ გააკეთა ეს უდავოა, სწორედ პირველ ათწლეულში. ისიც შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი კონგრესი გახლდათ ხალხზე, მასებზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად ცდილობდა სხვადასხვა ქვეყნის ებრაელობის სხვადასხვა ფენის წარმოჩენას, მათი ინტერესების გათვალისწინებას. შემდეგ, მოგვიანებით, ეს ტენდენცია ნელ-ნელა შეიცვალა—კონგრესი პრეზიდენტთა—ფინანსურ გარანტიორთა — წარმოჩენის საასპარეზო უფრო გახდა.

არსებობის პირველ ათწლეულში კონგრესმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა და ეს სიახლენი საქართველოს ებრაელობასაც შეეხო: სწორედ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ეგიდით ჩაუტარდა რესტავრაცია რამდენიმე ბეით ქნესეთს: ვგულისხმობთ თბილისის დიდ, ქუთაისის მთავარ ბეით ქნესეთებს, მოწესრიგდა — გაიწმინდა თბილისის ძველი—ორთაჭალის და ქუთაისის სასაფლაოები. ამ და კიდევ სხვა დიდ საქმეთა მოთავე და დამფინანსებელი დავით იაკობაშვილი იმ წლებშიც ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ და კონგრესის ეგიდით აკეთებდა ამ საშვილიშვილო საქმეებს. თავად ალ. მაშკევიჩმა ფაქტიურად ხელახლა ააგო „ბეით რახელი“ — თბილისის აშქენაზ ებრაელთა სამლოცველო. კონგრესის გენერალი მდივანი მიხეილ ჩლენოვი, გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ზისელსი, პრეზიდენტი ალ მაშკევიჩიც კი, ხშირად სტუმრობდნენ საქართველოს. აქ არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი საერთასორისო ღონისძიება გაუმართავთ.

მაგრამ ეს ყველაფერი იყო პირველი ათი წლის განმავლობაში, მანამ სანამ ცნობილი ბიზნესმენი ალ. მაშკევიჩი უარს იტყოდა პრეზიდენტობაზე. კონგრესის ათი წლის ხელმძღვანელობის შემდეგ მან გადაწყვიტა ბიზნესს მეტი ყურადღება მიაქციოს. ამიტომ კონგრესს განერიდა.

დაიწყო ახალი პრეზიდენტის ძიების პროცესი. ისიც მალე გამოჩნდა—უკრაინის ყოფილი მოქალაქე, ადრე მეშახტე, ამჯერად კი მილიარდერი- ვადიმ შულმანი. მაგრამ მალე მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა კონგრესის მუშაობის პრინციპი-ვერაფრით ვერ გაიზიარა დაგეგმარებისა და ფინანსების განაწილების მიღებული პრაქტიკა და უარი თქვა პრეზიდენტობაზე. მისი პრეზიდენტობა ორიოდე წელი თუ გაგრძელდა და ერთობ უხმაუროდ გაერიდა კონგრესს.

ახალი პრეზიდენტის ძიებას ბევრი დრო არ დასჭირვებია—ებრაულ სამყაროში წარმოსაჩენ სამზეოზე ყოფნა ლამის მთელი ქვეყნიერების სამზეოზე ყოფნას ნიშნავს და ავსტრიელმა ბანკირმა იულიუს მაინლმა მალე დაიკავა პრეზიდენტის პოსტიმან თავს იდო არა მხოლოდ კონგრესის ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, კონგრესის შემდგომი განვითარების, ბიზნესმენთა კონგრესის მუშაობაში ჩართულობის მცდელობაც გამოავლინა. აქვე დავსძენთ: კონგრესი მის წინაშე წამოჭრილი გამოწვევების გადაფარვას პრეზიდენტის, ვიცე პრეზიდენტების შენატანებით უზრუნველყოფს. პრეზიდენტის შენატანი საკმაოდ სოლიდურია და განსხვავდება ვიცე პრეზიდენტების შენატანისაგან. კონგრესი სწორედ ამ შენატანებით უზრუნველყოფს 27 სახელმწიფოს ებრაული თემებისა და ორგანიზაციების აუცილებელ, გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ისმის კითხვა: კონგრესის პრეზიდენტი, პირველი, თუ რიგითი ვიცე პრეზიდენტები დიდ ფინანსურ ძალისხმევას მიმართავენ იმისათვის, რომ გახდნენ პრეზიდენტები, პირველი, თუ რიგითი ვიცე პრეზიდენტები. სანაცვლოდ რას იღებენ? სწორედ აქ ვლინდება იუდაიზმის, ებრაული სამყაროს სიდიადე: სანაცვლო არ არსებობს. არსებობს მხოლოდ დიდი სიყვარული და ერთგულება ერის ინტერესებისა: ის, რაც შენ შეგიქმნია, სიმდიდრე, რომლის მფლობელიც უზენაესის შემწეობით გახდი, მოხმარდეს შენს ერს, მოხმარდეს მისი შვილების წინსვლას. ეს ის შემთხვევაა, როცა მოგებას შენი ერის შვილები ნახულობენ. რაში გაოიხატება ეს მოგება, რა ხასიათისაა იგი?

ახალი თაობების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა,

მოსახლეობაში ცოდნის გავრცელება, იუდაიზმის იდეალებისადმი დაწაფება და ერთგულება,

გასაჭირში ჩავარდნილისადმი ხელის წაშველება.

ესეიგი ის, რისი მფლობელიც შენ ღვთის ნებით, გახდი, უნდა მოხმარდეს შენი ერის ხვალინდელ დღეს. ხვალინდელი დღე კი არ არსებობს განათლების, ცოდნის გარეშე.

ასე რომ, კონგრესის ყოველ ხელმძღვანელობას თავისი ფინანსური ძლიერებით შეაქვს დიდი ინვესტიცია ერის სულიერი ცხოვრების გაძლიერება-სრულყოფის საქმეში..

ამას გარდა, კონგრესის მეთაურები მონაწილეობენ თანამედროვე ებრაელობის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრაში, მათთვის იღება სხვადასხვა ქვეყნების ლიდერების კარი,

იულიუს მაინლმაც ასე დაიწყო, მაგრამ სულ რაღაც რამდენიმე თვეში აღმოჩნდა, რომ კონგრესის დამფუძნებლებსა და მას სრულიად განსხვავებული შეხედულებები აქვთ მთელ რიგ კარდინალურ საკითხებზე. უწინარესი კი პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ, რომელიც მოგვიანებით კონგრესის როლის და ამოცანების სხვადასხვაგვარ გაგებაში გამოვლინდა. შედეგი? დაირღვა თავი იჩინა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ, რომლისგანაც კონგრესი შორს უნდა იყოს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობის გამწვავების ფონზე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჯერ კონგრესის კიევის, შემდეგ კი მოსკოვისა და ალმა-ათის ოფისები თანამშრომელთა ხელფასს თვეობით ვერ გასცემდნენ, ვეღარ იხდიდნენ ჩატარებულ ღონისძიებათა საფასურს. ვიცე პრეზიდენტებმა (გარდა მცირე გამონაკლისისა — და ეს გამონაკლისი სწორედ პირველი ვიცეპრეზიდენტი მიხ. მირილაშვილი გახლდათ), კონგრესს ზურგი აქციესარ შეჰქონდათ დათქმული მენატანი, ხოლო ბოლო წლებში იმ პროგრამებზეც ითქვა უარი, რომელსაც კონგრესი წლების განმავლობაში სისტემატურად ანხორციელებდა. ასე მაგალითად: კონგრესი ყოველწლიურად საფესახო მაცით ამარაგებდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ებრაულ თემებსა და ორგანიზაციებს. ამ პროგრამას ყოველი პრეზიდენტი განუხრელად ასრულებდა. ბოლო წლებში ეს ტრადიციაც დაირღვა და კონგრესის წევრი მრავალი ქვეყნის ებრაელობა სწორედ ფესახის წინა დღეებში აღმოჩნდა უსიამოვნო ფაქტის წინაშე, თანამშრომლების სახელფასო დავალიანება კი წლითიწლობით იზრდებოდა. ბოლო წლების განმავლობაში ერთხელაც არ იქნა მოწვეული გენერალური საბჭოს სხდომა—კონგრესის გენსაბჭოში წარგზავნილმა ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელმა ისე გალია თავისი კადენცია, გენსაბჭოს არცერთი სხდომა არ უხილავს.

აპრილში ნიუ იორკში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა. ასამბლეაში მონაწილეობდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს რამდენიმე წევრი. მართალია, ქვორუმი არ იყო, მაგრამ გენსაბჭოს წევრებმა მაინც წამოიწყეს იულიუს მაინლის პრეზიდენტობიდან გადაყენების პროცედურა—იგი სარგებლობდა პრეზიდენტის რეგალიებით, მაგრამ არ ასრულებდა თავის მოვალეობას, მოგვიანებით ამ წამოწყებას გენსაბჭოს სხვა წევრებიც შეურთდნენ, მაგრამ იულიუს მაინლისავე თხოვნით: გადაყენების იდეა უარყოფილი იქნა, რადგან მაინლმა განაცხადა, რომ თავადვე საკუთარი განცხადებებით დატოვებდა პოსტს. მან გამოგზავნა სათანადო განცხადება გადადგომის თაობაზე, რომელიც 24 ივლისს გენერალურმა საბჭომ დააკმაყოფილა.

ალ. მაშკევიჩის მიერ პრეზიდენტობაზე უარის თქმის შემდეგ, კონგრესის დამფუძნებლებმა მიხეილ მირილაშვილს ორჯერ მიმართეს თხოვნით დაეკავებინა პრეზიდენტის პოსტი—ის ხომ არცთუ იშვიათად ისედაც აკეთებდა პრეზიდენტის გასა-

კეთებელ საქმეს—იქნებოდა ეს კონგრესის ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფა, თუ სხვა. მიხეილ მირილაშვილმა ორივე შემთხვევაში უარი თქვა შეთავაზებაზე. აი, ამის შედეგად გახდნენ პრეზიდენტები ჯერ შულმანი, შემდეგ — მაინლი.

ბოლო 2-3 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა მიხ. მირილაშვილს მეტი აქტიურობა დაავალა და მაისში მან მიიღო გადაწყვეტილება სათავეში ჩადგომოდა კონგრესს—აღმოჩნდა, რომ ეს გახლდათ კონგრესის გადარჩენის ერთადერთი გზა. ტრადიციულად ასე იყო: მას შემდეგ, რაც ესათუის პიროვნება გამოთქვამდა სურვილს თავს ედო კონგრესის გაძღოლა, ხელს აწერდა კონგრესის დამფუძნებელთა მიერ შედგენილ მემორანდუმს უფლება-მოვალეობათა შესახებ და ხდებოდა პრეზიდენტი ე.ი. ღებულობდა იმ პატივისცემას, რაც პრეზიდენტობას ესოდენ მომხიბვლკელს ხდის—აქ იგულისხმება არა მხოლოდ წარმამადგენლობითობა. მიხ. მირილაშვილმა ეს ტრადიცია უარყო, არა-რა მემორანდუმს ხელი არ მოაწერა, მოითხოვა კონგრესის რეფორმა და როგორც პირველი ვიცე პრეზიდენტი, შეუდგა კიდეც კონგრესის განახლებას. მაისიდან მოყოლებული იგი კონგრესის რეფორმირებით გახლდათ დაკავებული. შეიცვალა კონგრესის სტრუქტურა, უარყოფილი იქნა პრეზიდენტის, როგორც „საქორწინო გენერლის“.ფუნქცია. გაუქმდა არსებული სტრუქტურები,შეიქმნა სრულიად ახალი ინსტიტუციები: გამგეობა და მისი თავმჯდომარე, აღმასრულებელი კომიტეტი, შეიქმნა სამი საბჭო, რომელიც აქტიურ როლს ითამაშებს კონგრესის ცხოვრებაში: საგარეო ურთიერთობის საბჭო, სტრატეგიული საბჭო და პროგრამების შემმუშავებელი საბჭო. ამ საბჭოებში ძირითადად შევიდნენ კონგრესის მუშაობაში ადრიდანვე ჩართული, გამოცდილი ადამიანები. მოგეხსენებათ „ებრაული ფოსტა“ მსოფლიოში ყველაზე მობილური გახლავთ. იმ გარემოებამ რომ მიხ. მირილაშვილმა „საქორწინო გენერლის“ სავარძელში კი არ ისურვა ჯდომა, ხელები დაიკაპიწა და საქმეს სერიოზულად მოეკიდა, კონგრესისადმა ინტერესი კვლავ უმალ გაზარდა. აი, შედეგიც: თუ ადრეულ ნლებში კონგრესის ვიცე პრეზიდენტობას 5-6 ბიზნესმენი სურვილობდა ე.ი პრეზიდენტთან ერთად ხუთი-ექვსი ადამიანი გამოსთქვამდა სურვილს დაეფინანსებინა კონგრესის მუშაობა, 24 ივლისის სხდომაზე 12 ვიცე პრეზიდენტი იქნა დამტკიცებული. მიხ. მირილაშვილმა კი პრივატულ საუბარში თქვა, რომ ვიცე პრეზიდენტთა რაოდენობა ოცამდე გაიზრდება.

ამავე დღეს ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალურმა ასამბლეამ განიხილა იულიუს მაინლის გადადგომის საკითხი და დააკმაყოფილა მისი განცხადება გადადგომის თაობაზე.

დამტკიცდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის რეორგანიზაცია. ფიგურალურად შეიძლება ითქვას, რომ იმ დღეს 2002 წელს დაარსებულმა კონგრესმა არსებობა დაამთავრა, თუმცა მანვე შვა ევრაზიის ებრაელთა ახალი კონგრესი.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ცენტრალურ ადგილსამყოფელად მიჩნეული იქნა ისრაელი,ნაცვლად იმისა, რომ კონგრესი რეგისტრირებული გახლდათ ალმა-ათაში, იგი რეგისტრაციას გაივლის ისრაელში,

განხილული იქნა კონგრესის ახალი წესდება.

კონგრესის ახალი გამგეობა განისაზღვრა 60 ადამიანით. საქართველოდან გამგეობის შემადგენლობაში შევიდნენ გურამ თეთრაშვილი და ელენე ბერკოვიჩი.

ახლადშექმნილ ხუთკაციან კონგრესის სტრატეგიულ ქმედებათა საბჭოში შევიდა გურამ ბათიაშვილი (თავმჯდომარე — პროფესორი მიხეილ ჩლენოვი),

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის რიგგარეშე გენერალური ასამბლეის გახსნის პატივი წილად ხვდა მწერალსა და დრამატურგს, გაზეთ „მენორას“გამომცემელსა და რედაქტორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, კოტე მარჯანიშვილისა და დავით კლდიაშვილის სახ. პრემიების ლაურეატს გურამ ბათიაშვილს.

მიხეილ მირილაშვილი, ხაიმ ბენ იაკობი

— შალომ, მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!

როცა მითხრეს, გვწადია, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის რიგგარეშე გენერალური ასამბლეიის გახსნის პატივი თქვენ, ამ კონგრესის უხნოვანეს წევრს მოგაგოთო, ჩვენი კონგრესის პირველი, დამფუძნებელი ყრილობა გამახსენდა—ის დღე, როცა მსოფლიოს ებრაელთა რუქაზე ახალი, ესოდენ მნიშვნელოვანი ინსტიტუტი გაჩნდა. 2002 წლის ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვის დიდებულ „პრეზიდენტ-ოტელში“ შევიკრიბეთ სხვადასხვა სახელმწიფოთა ებრაული თემების წარმომადგენლები და ჩამოვაყალიბეთ ევრაზიის ებრაელთა ეს საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც მჯერა, დიდხანს იქნება ამ კონგრესის წევრ სახელმწიფოთა ებრაელობის მესიტყვე. მაგრამ თუ სიმართლე გინდათ იცოდეთ, ამ კონგრესის ისტორია მისი ოფიციალური დაბადების დღეს არ დაწყებულა. გენერალურ ასამბლეას წინ უძღოდა დიდი, მღელვარე, ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი—ჩვენთვის ერთობ ძვირფასი ადამიანები: პროფესორი მიხეილ ჩლენოვი და იოსებ ზისელსი, ასევე ალექსანდრ ბარონი ყაზახეთიდან, დიდხანს ამზადებდნენ კონგრესის დაბადებას. ამ ხნის განმავლობაში მათთან ერთად ვიყავით მცირე ჯგუფი ებრაელი მოღვაწეებისა. ერთ-ერთ მათგანს-ძვირფას, უკვე გაჭაღარავებულ რომან სპექტორს აგერ, ჩემს წინ ვხედავ.

*2002 წლიდან დღემდე სამი პრეზიდენტი გამოვიცვალეთ. ალექსანდრე მაშკევიჩი 10 წლის განმავლობაში ჩინებულად ხელმძღვანელობდა ამ კონგრესს, მერე გაცლა ამჯობინა და გული დაგვწყვიტა. ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისში, მის მიერვე რესტავრირებულ „ბეით რახელში“ შემთხვევით შევხვდი და ნეაპოლიტანური რომანსის მოტივზე წავუმღერე: „ददაგვიბრუნდიიი...“ გთხოვთ აპლოდისმენტით დავაფასოთ ალექსანდრე ანტონისძე მაშკევიჩის დამსახურება ამ კონგრესის წინაშე (**მქუხარე ტაში**). შემდეგ იყვნენ ადრე უკრაინელი, ამჯერად კი ისრაელელი მეწარმე ბატონი შულმანი და ავსტრიელი ბანკირი ბატონი მაინლი. მოდით, ისინი გავიხსენოთ არა იმით, თუ რა ვერ შესძლეს, რა ვერ მოახერხეს — რისი გაკეთება ეწადათ და რა გამოუვიდათ, არამედ იმის მიხედვით, თუ რა გააკეთეს კონგრესისათვის ესეიგი ებრაელი ხალხისათვის. ასე იყო თუ ისე, მათ ამოძრავებდათ ებრაელი ხალხისადმი სამსახურის დიდი სურვილი. თუნდაც ამისათვის იმსახურებენ ჩვენს გულითად მადლობას.*

ყოველ თქვენგანთან—მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ებრაელებთან, მაქვს ერთი თხოვნა და მხარდაჭერასაც ველოდები: აპრილში ნიუ იორკში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა. ასამბლეაზე მოწვეულნი გახლდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბატონი გუტიერესი და გაეროს კულტურის დეპარტამენტის –იუნესკოს გენერალური დირექტორი ირენა ბოკოვა. ორივემ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა-გუტიერესმა გენერალური ასამბლეიის გახსნისას, პირველსავე საღამოს, ქ-მა ბოკოვამ კი მესამე დღეს. ორივე გამოსვლა გამსჭვალული გახლდათ ებრაელი ხალხის, ისრაელის სახელმწიფოსადმი ღრმა პატივისცემის გრძნობით და ტაშსაც გულითადად ვუკრავდით. მას შემდეგ გადის სულ რაღაც ათიოდე დღე და იუნესკო ღებულობს ამაზრზენ რეზოლუციას: თურმე ებრაელ ხალხს არა-რა უფლება არა ჰქონია იერუსალიმზე, თურმე იერუსალიმთან დაკავშირებული ისრაელის ხელისუფლების ყოველი კანონი, ყოველი გადაწყვეტილება უძალო და უღონო ყოფილა! რა არის ეს? მე ვგონებ, ეს სხვა არაფერია, თუ არა იუნეკოს თვითლიკვიდაციაზე ხელისმოწერა. გულდასაწყვეტია, რომ ესოდენ სერიოზული ინსტიტი არაბული სახელმწიფოების წარმომადგენელთა სათამაშო თოჯინა გახდა.

ეს ყველაფერი თქვენ უჩემოდაც იცოდით. მე კი აი, რა მინდა გთხოვოთ: ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმუშაოთ თქვენ-თქვენი სახელმწიუფოების მთავრობებთან, რომ იუნესკოს ეს რეზოლუცია ანულირებული იქნას, ყოველი სახელმწიფოს პარლამენტმა იზრუნოს იმისათვის, რომ არ შეილახოს ისრაელის უფლებები. ალბათ, კარგად იცით, თუ როგორ მოიქცა ჩეხეთის პარლამენტი-განიხილა ეს საკითხი და იუნესკოს რეზოლუციას არ დაეთანხმა, ჩეხეთის მთავრობას კი ურჩია შეწყვიტოს იუნესკოს დაფინანსება. თუ ჩვენ ამ საკითხს საღად განვიხილავთ, პრინციპულად ვიმსჯელებთ, შესაძლოა, გადავარჩინოთ იუნესკოს ღირსებაც. და თუ ასე არ მოხდა, არსებობს საშიშროება, რომ იუნესკო დარჩეს არაბული სახელმწიფოებისა და მასთან მოლაცლიცე ზოგიერთი ევრაზიული სახელმწიფოს სათამაშო თოჯინად.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ამ ბოლო დღეებში ბევრს ვფიქრობ: ეს გახლავთ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ახალი—მეოთხე პრეზიდენტის არჩევა. გუშინ, როდესაც ახალი პრეზიდენტის კანდიდატურას განვიხილავდით, მე ვთქვი: ბოლოსდაბოლოს, რამდენიმე წლის შემდეგ, კონგრესი თავის ჭეშმარიტ ჭირისუფალს პოულობს-მეთქი. ალექსანდრე მაშკევიჩის წასვლის შემდეგ ჩვენ გამოვიარეთ ძალიან რთული პერიოდი—რთული ექვსი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მიხეილ მირილაშვილს ორჯერ შესთავაზეს დაეკავებინა პრეზიდენტის ადგილი. მან ორივეჯერ თქვა უარი ამ ერთობ საპატიო პოსტზე განეგრძო თავისი მოღვაწეობა, თუმცა, კონგრესის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად ყველაფერს აკეთებდა — აკეთებდა სხვათა გასაკეთებელ საქმესაც კი. ამჯერად კი თანხმობა განაცხადა ამ პოსტზე განაგრძოს თავისი დიდი მოღვაწეობა, თუმცა, საქორწინო გენერლობა არ ისურვა — საპატიო სავარძელში კი არ ჩაჯდა—ხელები დაიკაპიწა და დაიწყო კონგრესის სტრუქტურული მოდერნიზაციის პროცესი. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება: მას რეგალიები, საპატიო სავარძელში ჯდომა კი არ აინტერესებს, საქმის კეთება უნდა. დღეს კონგრესში ყველაფერი ძირფესვიანად იცვლება. მჯერა, სულ რამდენიმე თვეში ეს იქნება ერთობ თანამედროვე, ერთობ მობილური ებრაული ინსტიტუტი, რომელიც ებრაელი ხალხისათვის ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს. ამიტომ გავიმეორებ იმას,რაც გუშინ ვთქვი: დღეს კონგრესი მხოლოდ ახალ პრეზიდენტს კი არ ირჩევს, დიდ ასპარეზს აძლევს ლიდერს, რომელიც ამ კონგრესს სრულიად ახალ გრადაციაში წარმოაჩენს.

არც იმას დაგიმალავთ, რომ მე ქართველ ებრაელ მწერალს, მხნეობას მმატებს ქართველი ებრაელი მოღვაწის ასეთ რანგში ხილვა.

დერეხ შალომ, ბატონო პრეზიდენტო!

ამით ევრაზიის ებრაელთა კონგრესის რიგგარეშე გენერალურ ასამბლეას გახსნილად ვაცხადებ.

პროფესორმა მიხეილ ჩლენოვმა წარმოადგინა ევრაზიის ებრაელთა განახლებული კონგრესის პრეზოდენტის მიხეილ მიხეილის—ძე მირილაშვილის კანდიდატურა.

გენერალურმა ასამბლეამ მიხეილ მირილაშვილის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირა მხარი.

მიხ.მირილაშვილმა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე წამოაყენა ბიზნესმენ არონ ფრენკელის კანდიდატურა, რომელსაც გენერალურმა ასამბლეამ ასევე ერთხმად დაუჭირა მხარი

კონგრესის ხაზინადარის პოსტზე დამტკიცდა მენახემ მუშენოვის კანდიდატურა.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალურ დირექტორად გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ხაიმ ბენ იაკობი.

მიხეილ მირილაშვილმა წარმოთქვა თავისი საპრეზიდენყო სიტყვა.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის სიტყვა

- პატივცემულო დელეგატებო, ქალბატონებო და ბატონებო, მვირფასო მეგობრებო!

გუშინ გაიმართა ჰარასკევ საღამოს ხალამიშის დასახლებაში ტერორისტების მიერ უმოწყალოდ დახოცილი იოსეფ სოლომონის, ხაი სოლომონისა და ელად სოლომონის დაკრძალვის ცერემონიალი. ეს არაადამიანური, საშინელი მკვლელობა ჩადენილი იქნა შეუბრალებელი, ებრაელთა სიძულვილით აღვსილი ჰირის მიერ ჰარასკევ საღამოს, როცა ოჯახის წევრები და მათი სტუმრები საშაბათო სუფრას მიუსხდნენ.

ჩვენ მკაცრად ვგმობთ მშვიდობიან მოსახლეობაზე ამ სამაგელ ტერორისტულ თავდასხმას და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ დაღუჰულთა ოჯახებს

დაე, მსუბუქი იყოს მათთვის ისრაელისა მიწა!

ჩვენ ამჟამად დროის განსაკუთრებულ მონაკვეთში, „მარწუხებს შორის“მოქცეულნი ვიმყოფებით: ამ შუა ზაფხულში - 17 თამუზისა და 9 აბის მარხვას შორის ჰერიოდი, ებრაულ კალენდარში ყველაზე მძიმეა, რადგან მთელი ჩვენი მწარე ისტორიის განმავლობაში დროის სწორედ ამ მონაკვეთში გვატყდებოდა თავს ყველაზე მძიმე, საშინელი განსაცდელი, მაგრამ დროის ეს მონაკვეთი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ შეკავშირებასა და ურთიერთთანადგომას გვკარნახობს.

თანადგომა, შეკავშირება—ეს არის უმთავრესი ყოველი ებრაული საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მათს შორის, ჩვენთვის—ევრაზიის ებრაელთა კონგრესისათვის. ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ ჩვენ-ჩვენი თემები ყველგან და ყოველთვის. მოიმებნებიან ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც მზად არიან დაგვიცვან, როცა ჩვენ უღონონი და უძლურნი ვართ, მაგრამ მასულდგმულებს იმედი, რომ ამის აუცილებლობა აღარ იქნება. ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ იქით, რომ ჩვენ—ძლიერთა და წარმატებულთ, აქტიურთა და სოციალური ჰასუხისმგებლობით აღჭურვილთ, პატივისცემით გვექცეოდნენ. ამისათვის აუცილებელია დიასპორის ყოველმა თემმა არა მხოლოდ თავისი თემის, ზოგადად ებრაული თემებისათვის - მთელი გარემომცველი სამყაროსათვის სიკეთის ქმნით მოიპოვოს აღიარება. ებრაელი ხალხი ესწრაფვის, რომ ებრაული დიასპორა მთელ მსოფლიოში იყოს ძლიერი, აუვავებული. ეს იქნება ჩვენი ორგანიზაციის –ევრაზიის ებრაელთა კონგრესის უწინარესი ამოცანა.

დიასპორის ებრაული თემები უნდა გაძლიერდნენ როგორც ეკონომიურად, ასევე სულიერად. სულიერი სრულყოფა-ამაღლების გარეშე, მხოლოდ მატერიალური სრულქმნა შურისა და სიძულვილის წარმომშობელია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიასპორის ებრაელობა დემოგრაფიული და სოციალური ცვლილებების საფრთხის წინაშე დგას. არსებობს იმის საშიშროება, რომ ზოგიერთი თემი სულ რაღაც ერთი თაობის განმავლობაში გაქრეს. ამისათვის აუცილებელი, გვერდაუვლელია დიასპორისა და ისრაელის კავშირურთიერთობის განმტკიცება. ახალგაზრდობის ებრაული ფასეულობებით, ტრადიციებით აღზრდა-განათლებით აღვკვეთოთ ასიმილაციის განმაპირობებელი მდგომარეობა. ამ მიზნით ჩვენ აქტიურად განვაგრძობთ მეცნიერების, განათლების, კულტურის იმ დაწესებულებებისადმი დახმარებას, რომლებიც ებრაული კულტურის განვითარებასა და გავრცელებას ემსახურებიან.

ბატონებო და ქალბატონებო!

ჩვენდა სამწუხაროდ, ძლიერი ისრაელი და წარმატებული დიასპორა ჯერ კიდევ არ არის ჩვენი ერის მშვიდი ცხოვრების საწინდარი. ბოლო ხანს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, პოსტსაბჭოურ სივრცეში მოწმენი ვართ ანტისემიტური ტენდენციების ზრდისა. ეს შავი ჭირი სრულიად სხვადასხვანაირად ვლინდება: მას ვაწყდებით პოლიტიკოსთა რიტორიკაში, ებრაელთა საფლავების წაბილწვაში, ვანდალიზმში, ებრაული სიწმინდეების შეურაცხყოფაში, ამათუიმ საერთაშორისო ორგანიზაციის ანტიისრაელურ რეზოლუციებში, ისრაელის ბოიკოტირების ცდებში და სხვა.

ანტისემიტები ადრე ებრაელთა ბოიკოტირებას ეწეოდნენ, დღეს კი ანტიებრაული, ანტისრაელური მოძრაობის შ-ის, აქტივისტები ისრაელის სახელმწიფოს, სწორედ ებრაელთა სახელმწიფოს ბოიკოტისაკენ მოუწოდებენ და არა იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ, იქნება ეს ირანი, თუ ჩრდილოეთ კორეა, სირია, თუ ავღანეთი. არა, მათ მხოლოდ ებრაელთა სახელმწიფო ჰყავთ სამიზნეზე. ისრაელი არ არის იდეალური სახელმწიფო, იგი შეიძლება გააკრიტიკო და უნდა გააკრიტიკო კიდეც, მაგრამ ამჯერად ამაზე როდია საუბარი. მათი მიზანი ნათელია - ისრაელის სახელმწიფოებრიობის, მისი, როგორც სახელმწიფოს უარყოფის ცდა. სხვა რა შეიძლება ამას ვუწოდოთ, თუ არა ანტისემიტიზმის გამოვლინება?

დადგა დრო წინ აღვუდგეთ, შევებრძოლოთ ამ ტენდენციას,

დადგა დრო დელეგიტიმაცია ვუყოთ დელეგიტიმიზატორებს.

დადგა დრო მოვიგერიოთ ანტისემიტები.

იუნესკოს რეზოლუცია, რომელიც ხევრონის მამამთავართა მღვიმეს არარსებული პალესტინელი ერის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აცხადებს, ან უარყოფს ებრაელი ხალხის კავშირს ტაძრის მთასთან, პალესტინელებს ამაო იმედს უსახავს და აძლიერებს ტერორისტთა საბრძოლო სულისკვეთებას, რაც კიდევ უფრო ართულებს ახლო აღმოსავლეთის ისედაც ფეთქებადსაშიშ მდგომარეობას. ასე რომ, იუნესკო ფაქტიურად მხარს უჭერს ტერორიზმს.

მვირფასო მეგობრებო,

2016 წლის ოქტომბერში იუნესკოში გამართულ კენჭისყრაზე რეზოლუციას, რომელიც უარყოფს ებრაელი ხალხის კავშირს ტაძრის მთასთან მთელი რიგი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა დაუჭირეს მხარი. მათს შორისაა რუსეთი, ხოლო უკრაინამ, ინდოეთმა და სლოვენიამ თავი შეიკავეს. ამ სახელმწიფოთა ებრაული თემები ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სრულუფლებიანი წევრები გახლავან . ჩვენ არ ძალგვიძს გულხელდაკრეფილნი ვუცქიროთ იმას, თუ რა ხდება: ამ და სხვა ქვეყნების ებრაელთა თემებს შეუძლიათ და ვალდებულნიც არიან, ზეგავლენა იქონიონ თავთავიანთი სახელმწიფოების ხელისუფლებაზე და მოიპოვონ მათი მხარდაჭერა. ეს არის ყველაზე ცოტა იმათგან, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ისრაელის სახელმწიფოსათვის.

ჩვენ დიდი სამუშაო გვაქვს წინ. ვიმეცადინოთ და შედეგსაც უსათუოდ მივაღწევთ

გმადლობთ ყურადღებისათვის!

24 ივლისს რიგგარეშე გენერალური ასამბლეიის დელეგატები მოვიდნენ მაქაბის დიდებულ ცენტრში, რომელშიც მიხო მირილაშვილს მისი აწგანსვენებული მამის — საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის — მიხეილ გაბრიელისძე მირილაშვილის სახელზე აუშენებია. პრეზიდენტმა მიხ.მირილაშვილმა აქ გამართა დიდი დარბაზობა, რომელზეც მოვიდნენ ისრაელის ქნესეთის, მთავრობის წევრები, საზოგადო მოღვაწენი. აქ ითქვა ფრიად საგულისხმო სიტყვები, რომელიც მიხეილ მირილაშვილს წარმოაჩენდა, როგორც ერთ-ერთ გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს, ფილანტროპს.

აჰარონ ფრენკელი

იმ საღამოს მიხეილ მირილაშვილმა თავის გამოსვლაში ერთი ებრაული იგავი გაიხსენა:

„როგორ იქეცი მთელი შენი თაობის ლიდერად? ჰკითხეს ერთ კეთილგონიერ კაცს.

-იმით,რომ ყველას, ვისაც ვხედავდი, ჩემზე გონიერად მიმაჩნდა.

და თუ ის კაცი ჩემზე გონიერი იყო, თავს ჩავსძახოდი: სწორედ რომ თავისი დიდი სიბრძნის წყალობით, ის უფრო მეტად კეთილისმყოველია, ვიდრე ვარ მე,

თუ ის კაცი ჩემზე ნაკლებ ბრძენი იყო, თავს ჩავსძახოდი „მან შეცდომით შესცოდა, მე კი ავი ზრახვა მამოქმედებდა“.

მორალი: ადამიანი სულიერი ამაღლებისათვის ყოველდღე უნდა წვრთნიდეს თავს.

გენერალური ასამბლეიის მონაწილეებისათვის, ვინც გაიგებს, ეს იგავი დიდი სულიერი საგზალი უნდა იყოს. როგორც უკვე ითქვა, გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია აჰარონ ფრენკელი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ვიცე-პრეზიდენტები.

პირველი ვიცე-პრეზიდენტები გახლავან: **ზახარიაევი გერმან, იაკობაშვილი დავით, ხიხინაშვილი თემურ**, ვიცე-პრეზიდენტები: **ბელინკისი ალექსანდრე, გრინშპუნი ემანუელ, ელაშვილი მერაბ, ლევი რამი, ლევინი ალექსანდრე, შაბადი მარკი, შენკმანი ალექსანდრე, პასიკი მაქსიმი.**

ევრაზიის რიგგარეშე გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუციები რამდენიმე მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხზე: 1. „იერუსალიმის ძველ ნაწილში ტაძრის მთასთან დაკავშირებულ საკითხზე“, 2. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულტურის, განათლების და მეცნიერების (იუნესკო) დეპარტამენტის ანტიისრაელურ პოზიციასთან დაკავშირებით“, 3. „თანამედროვე სამყაროში ანტისემიტიზმის თაობაზე“.

ინგლისის მუსლიმთა ოჯახებში 6-8 შვილი ჰყავთ, ისინიც უფასო საცხოვრებლის მიღებას გეგმავენ.

კოალიციის მეთაური: ნეთანიაჰუ არ გადადგება!

დღეს ისრაელის პოლიტიკურ წრეები გამალებული იბრძვიან იმისათვის, რომ მიაღწიონ პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს გადადგომას.ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა კოალიციის მეთაურმა დავით ბიტანმა — მან გამოსთქვა თავისი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით რომ შესაძლოა, მიკი განორი „საქმე 3000“ სახელმწიფო ბრალმდებელი გახდეს.

— ეს საკითხი საერთოდ არ მაღელვებს — თქვა დავით ბითანმა — თუ ისინი დღეს სახელმწიფო ბრალმდებელს დაეძებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ დღემდე არც არაფერი ჰქონდათ. მიკი განორმა ისიც დასძინა, ნეთანიაჰუს პირადად ვესაუბრე და დავრწმუნდი საბრალდებო დასკვნაც რომ წაუყენონ, მაინც არ გადადგება.

ადრე პორტალი „ვესტი“ იუწყებოდა, რომ მეწარმე მიკი განორი „საქმე 3000“ მთავარი ეჭვმიტანილი პირიაო,ახლა კი იუწყებიან ,რომ იგი პროკურატურასთან მოლაპარაკებას ეწევა. მოლაპარაკების საგანი გახლავთ შემდეგი: მიკი განორი ეჭვმიტანილიდან სახელმწიფო ბრალმდებლად იქცეს.

ოპოზიცია უტევს. რამდენად სწორია მეთოდი?

ოდითგან ასე იყო:ხელისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ — სიცოცხლეს,თაობებსაც კი სწირავდნენ, მაგრამ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრების დემოკრატიული წესის დამკვიდრება და განვითარება ბრძოლის მეთოდების გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია. ახლო აღმოსავლეთში რტომ ისრაელი ჩინებული, ენრთობ განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. იქნებ, ამანაც — დემოკრატიული პრინციპების ზედმიწევნით დაცვა-განვითარებამაც განაპირობა ის გარემოება, რომ მისი საზღვრები ფართოვდება და ფართოვდება. ზოგისთვის შესაძლოა ანარქიის მაუწყებელი იყოს, მაგრამ ფაქტია: დემოკრატიას არა აქვს ზღვარი და ამაში ისრაელის პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებული მოვლენები გვარწმუნებს.

ამ ბოლო ხანს ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ერთობ ახირებული ხასიათი მიიღო: ოპოზიცია — პრესა, მემარცხენე ძალები ყოველმხრივ ცდილობენ ბინიამინ ნეთანიაჰუს მემარჯვენე ხელისუფლკების დამხობას. აგერ უკვე ლამის ათწლეულზე მეტია ეჰუდ ბარაქის ხანმოკლე მმართველობის შემდეგ ისრაელის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე ძალები იმარჯვებენ და მთავრობასაც ისინი ქმნიან. ამან კი მემარცხენე ძალების და პრესის კონსოლიდაცია და გამარჯვებისათვის ახალი მეთოდების ძიება განაპირობა. ამაოდ — მემარცხენე პარტიები, რომელთა ლიდერი „ავოდა“ ლეიბორისტული პარტიაა ვერაფრით ვერ ძლევს „ლიკუდს“. ამიტომ მემარცხენე ძალები- პრესა, შემოქმედებითი ინტელიგენცია (ტრადიციულად მემარცხენენი) ხელისუფლებას კრიჭაში უდგანან. ბოლი ხანს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიციაც ჩაერთო (ასე მიიჩნევს მთავრობა) და პრემიერ მინისტრ ბინიამიონ ნეთანიაჰუე,მის მეუღლეს სარა ნეთანიაჰუს განუწყვეტლივ დაკითხვებზე იბარებენ. ამასწინათ ასეთი კურიოზიც კი მოხდა: აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბინიამინ ნეთანიაჰუს რომ დაურეკა ისრაელის პრემიერ-მინისტრი პოლიციაში დაკითხვაზე იმყოფებოდა და გამომძიებელთა შეკითხვებს პასუხობდა. ამ დრეებში ნეთანიაჰუმ ასე იხუმრა: ალბათ მალე ჩემს ძაღლსაც კი დაუძახებენ დაკითხვაზეო.

ასე რომ ,პოლიტიკური სიტუაცია ერთობ დაძაბულია, ბრძოლა დღითიდღე მწვავდება. ამ დღეებში „ლიკუდის“, სამთავრობო კოალიციის მომხრეებმა მოაწყეს ბინიამინ ნეთანიაჰუს მხარდასაჭერი მიტინგი. მიტინგზე პრემიერ-მინისტრიც მივიდა. თავის სიტყვაში მან ისაუბრა ისრაელის პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილ სიტუაციაზე.რამდენიმე ამონარიდი ბინიამინ ნეთანიაჰუს გამოსვლიდან:

„მათ ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენ ზედიზედ ასე უბრალოდ და არ ვიმარჯვებთ არჩევნებშში,ასე იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ვახერხებთ უზარმაზარ წარმატებებს მივაღწიოთ ისრაელის განვითარებაში, ისრაელის მდგომარეობა კი დღეს ისეთია, როგორიც არასოდეს ყოფილა.

ჩვენ შევძელით ისრაელი გადაგვექცია მსოფლიო ძალად სამხედრო, ეკონომიკური, სადაზვერვო, ტექნოლოგიური, კიბერნეტიკული თვალსაზრისით. ალბათ, გახსოვთ როგორ გვაშინებდა პრესა: თუ ჩვენ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიებს არ დავთმობთ, ყველა ზურგს გვაქცევს, უღონონი და მიტოვებულნი ვიქნებითო.

დღეს ისრაელი არნახულ დიპლომატიურ აღმავლობას განიცდის.უპრეცენდეტოა უცხოეთის სახელმწიფოებიდან ჩამოსულ სტუმართა ნაკადი, ისევე როგორც ჩვენი მინვევები სხვადასხვა ქვეყანაში. ეს მოწვევები მოდის: ინდოეთიდან თუ ჩინეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, თუ აფრიკიდან — ქვეყნიერების ყველა კუთხიდან,უამრავი სახელმწიფოდან.

ეს ყველაფერი იციან მემარცხენეებმა, პრესამ, ამიტომ დაიწყეს ნადირობა ჩემზე, ჩემს ოჯახზე. სწადიათ გადატრიალების მოწყობა მათ სურთ ეს გააკეთონ სამართალ ორგანოებზე განუწყვეტელი ზეწოლით,ამით ცდილობენ,რადაც არ უნდა დაუჯდეთ, აიძულონ ისინი ჩემს წინააღმდეგ შექმნან საბრალდებო დასკვნა,რომელსაც არა-რა კავშირი არ ექნება სიმართლესა და სამართლიანობასთან“

დიახ, ისრაელი დემოკრატიული სახელმწიფოა და ყველაფერი ეს შეიძლება, მაგრამ რამდენად აქვს უფლება ისრაელის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ასე იცხოვროს, მოქმედებდეს, როცა ქვეყანა ათასი განსაცდელის წინაშე დგას.ნუთუ ამაში უნდა იხარჯებოდოს დრო და ენერგია, თუ იმ პრობლემების დასაძლევად, რომელიც ისრაელის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია?

ჩეხეთის პარლამენტის გადაწყვეტილება

იერუსალიმის განთავისუფლების დღესთან დაკავშირებით ჩეხეთის პარლამენტმა ისრაელს დიდი საჩუქარი მიუძღვნა — დაამტკიცა რეზოლუცია, რომელიც ჩეხეთის მთავრობას მოუწოდებს მარადიული ქალაქი — იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიაროს. რეზოლუციაში ასევე გაკიცხულია იუნესკოს გადაწყვეტილება იერუსალიმის აღმოსავლეთის რაიონებთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება ისრაელის სუვერენიტეტის შემლახველიაო. რაზოლუცია კენჭისსაყრელად გამოიტანა ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ იან ბარტოშეკმა. რეზოლუციას 156 დეპუტატიდან 112-მა დაუჭირა მხარი. ჩეხმა დაპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს რეზოლუციას იმის თაობაზე, რომ ჩეხეთმა სწორედ ანტისრაელური რიტორიკისათვის, აღარ დააფინანსოს იუნესკო.

იან ბარტოშეკმა რეზოლუციაზე კენჭისყრის წინ თქვა:

— ჩეხეთის პარლამენტი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს იუნესკოს რეზოლუციას . ჩვენს ქვეყნებს შორის ძალიან ახლო ურთიერთობაა. ნაცვლად იმისა, რომ იუნესკომ იზრუნოს კულტურის, განათლების, მეცნიერების საკითხებზე, იგი პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაიქცა. მაშინ როცა ტერორიისტები ისლამის სახელით ანადგურებენ ქრისტიანულ, ბუდისტური კულტურის ძეგლებს, იუნესკო ნაცვლად კულტურულ ფასეულობათა დაცვისა, ახლო აღმოსავლეთში ერთადერთ დემოკრატიული ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში ფლანგავს დროს.იან ბარტოშეკმა დასძინა:

— როცა იუნესკო უარყოფს ისრაელის კავშირს ტაძრის მთასთან,იგი ლეგიტიმურობას აცლის მთელი დასავლეთის კულტურას იმდენად რამდენადაც, დასავლური კულტურის უმნიშნელოვანესი ეტაპი სწორედ ტაძრის მთის გარშემო მიმდინარე ამბები გახლდათ, რომელიც ისლამის წარმოშობამდე რამდენიმე საუკუნის წინ ხდებოდა.

ქართველი ებრაელის (სამეგრელო) ფოტო-სურათი მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან

მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (гим) , რომელიც „წითელ მოედანზე“ მდებარეობს, არსებობს მდიდრული ფოტოთეკა. ერთ-ერთ ფოტოგრაფიაზე აღბეჭდილია „მეგრელი ებრაელი“- ახალაგაზრდა კაცი ბეწვიან ქუდში (ბოხოხი) და ჩამოხეულ, ღარიბულ გრძელ სამოსში (ახალოხი) მარჯვენა ხელით ის ეყრდნობა ჩანს, საკუთარი სახლის, დაბალი ოდის ხის რიკულებიანი აივნის საყრდენ ძელს, ზურგზე ჩამოკიდებული აქვს კონუსური ფორმის წნული კალათი - „გიდელი“, მარჯვენა ხელში ორი მომცრო წნული, მომრგვალებული კალათი უჭირავს, ბოსტნეულითა და ხილით , მის წინ, რაღაც მწვანე სარეველა მცენარეა ამოშვერილი აივნის საყრდენ ძელამდე, რაც შესაძლოა მეტყველებს იმაზე, რომ სურათი გაზაფხული — ადრე ზაფხულის დროსაა გადაღებული, იგრძნობა რომ „ეთნოგრაფიული კომპოზიცია“ ხელოვნურია და მიუხედავად ამისა შესაძლებლად მიგვაჩნია აქ წარმოდგენილი ატრიბუტიკა ხელზე, წვრილი მოვაჭრის პროფესიას დავუკავშიროთ , იმედია ის თავისი უშუალოებით მიიპყრობს „მენორას“ მკითხველების ყურადღებას.

გურამ ლორთქიფანიძე
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი.
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახლემწიფო
უნივერსიტეტის „ისრაელის ცენტრის“ კურატორი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აჰარონ მდინარაძე

რ ე ე

შეხედე, მე (მოშე რაბეინუ) გთავაზობთ დღეს თქვენ არჩევანს, -კურთხევას და წყევლას.

კურთხევას, თუ მოისმენთ ჰაშემის მცნებებს, თქვენი ჰაშემის, რომლებსაც მე გეტყვით დღეს და წყევლას, თუ არ მოისმენთ ჰაშემის მცნებებს, თქვენი ჰაშემის, რომლებსაც მე გეტყვით დღეს.

ორ ახაიმ ჰაკადოში სვამს კითხვას: რატომ წერია სიტყვა "შეხედე", სად უნდა ვიყუროთ და როგორ უნდა დავინახოთ?

პასუხობს თვითონ ორ ახაიმ ჰაკადოში „არჩევანი, რომელსაც გვთავაზობს მოშე რაბეინუ,არის ძალიან რთული - სულიერ ცხოვრებასა და მატერიალურ სიამოვნებებს შორის. ვინც კარგად იცნობა ამ ორივე მხარეს, მხოლოდ მას აქვს მთლიანი უფლება თქვას -ამოირჩიეთ კურთხევა და სიცოცხლე-და ზუსტად ასეთი ადამიანი იყო მოშე რაბეინუ.

მან, როგორც არავინ, იცოდა თუ როგორია მატერიალური სიამოვნებებით სავსე სიცოცხლე, ის ხომ იზრდებოდა ეგვიპტის მეფის - ფარაონის სასახლეში, შემდეგ იქიდან როდესაც გაიქცა, სანამ ჩავიდოდა მიდიანში ითროსთან - მიდრაში გვეუბნება, რომ იყო მეფედ ერთ-ერთ სახელმწიფოში ანუ მას ჰქონდა ყველაფერი, რაც შეიძლება ადამიანს ქონოდა იმ თაობაში და მეორე მხრივ ჰაშერმი ამბობს: ის არის ჩემს სახლში მიღებული, მას შეუძლია შეიცნოს ჰაშემი, ისე როგორც არავინ ადამიანებს შორის, ის არის რჩეული წინასწარმეტყველი.

სწორედ ამიტომ მას შეუძლია თქვას-შეხედე და მიუთითოს თავის თავზე - არის ორი გზა, ამოირჩიე ის, რომელიც არის სწორი.

ორივე იმ გზაზე, რომელსაც გვთავაზობს მოშე რაბეინუ - არის კურთხევაც და წყევლაც, მიდრაში ამას ადარებს ორ გზას, ერთი თავიდან სწორია და ბოლოში არის ჯებირები და ორმოები და მეორე პირიქით.

ვინც ირჩევს სიწმინდეს, ჰაშემის რწმენით სიცოცხლეს, ირჩევს რთულ გზას, ბევრი წინააღმდეგობები და სიძნელეები შეხვდება მას, ეს არის გზა რომლის დასაწყისში არის ჯებირები და ორმოები, და მხლოდ ბოლოში არის სწორი და კარგი.

თუ ადამიანი ირჩევს ბოროტებას, თითქოს თავიდან თითქოს მისი გზა სწორი და კარგია, მხოლოდ ბოლოში გამოჩნდება რომ სინამდვილეში ამ გზის ბოლოს უფსკრულია. არჩევანის დროს მოშე რაბეინუ პირდაპირ ეუბნება ადამიანს, ორივე გზაზე არის კარგი და ცუდი, კურთხევა და წყევლა, და თუ ადამიანი გაკვირვებით იკითხავს, მაშინ რა სხვაობაა-?

მოშე რაბეინუ პასუხობს:შეხედეთ ორივე გზას მთლიანად, სრულყოფილად, პირველი მიუხედავად სირთულეებისა, საბოლოო ჯამში არის მხოლოდ კურთხევა. ხოლო მეორე - მხოლოდ წყევლაა.

იგივე მართებულია იმ საჩუქართან დაკავშირებითაც, რომელიც ჩვენ მივიღეთ ჰაშემისგან - ერეც ისრაელი- ეს მიწა შეიძლება გახდეს კურთხევის საფუძველი, და ასევე შეიძლება იყოს შურის და დევნის მიზეზი სხვა სახელმწიფოების მიერ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვიქცევით ჩვენ - ისრაელები ამ წმინდა მიწაზე.

ამ წმინდა მიწიდან გამომდინარეობს კურთხევაც და წყევლაც, ორივე ჩადებულია მასში.

ჰაშემი დაგვეხმაროს სწორი არჩევნის გაკეთებაში.

შაბათ შალომ!

მოამაგე

უკვე ერთი თვეა, რაც შალვა ქოსაშვილი გარდაიცვალა. თუკი შეიძლება წასული ადამიანი ერთი სიტყვით შეაფასო, ალბათ, სწორედ მოამაგეა ის ერთი სიტყვა, ყველაზე მეტად რომ შეშვენოდა. ვგულისხმობ ბუნებრივ ამაგს ცოლ-შვილზე, სახლ-კარზე, საკუთრ ბიზნესზე. და ამაგს ჯერ აშკენაზთა სინაგოგაზე, მერე კი თბილისის დიდ სალოცავზე.

ამაგი დასაფასებელი ფაქტორია - სულერთია, ის ჯერაც მოქმედ პირს ეხება, თუ უკვე გარდაცვლილს. ამაგის დაუფასებლობას უმადურობა ჰქვია. ამიტომ მინდა მოკრძალებით გავიხსენო ის, რამაც ჩემს თვალწინ ჩაიარა. მთელი მისი ღვაწლი (არ არის ეს გადამეტებული განაცხადი), ჩვენში კარგად ცნობილი ფრთიანი ფრაზის კონტექსტში მოიაზრება: „მე რასაც ვაკეთებ, ლაზათიანად ვაკეთებ“! საერთოდაც, სილამაზის ტრფიალი გახლდათ, პეწის დამფასებელი. მაჟორის კაცი იყო, სიხარულის ნიჭით დაჯილდოვებული. ყოველი მოვლენისაგან ისეთ ატმოსფეროს ჰქმნიდა, რომ თითოეულ მონაწილეს პერსონალურად თავისი წილი გრადუსი ემატებოდა. ასე იყო ჩვენი დიდი სალოცავის საიუბილეო ზეიმზე, ყოველი ახალი სეფერ-თორის სალოცავში შებრძანების ცერემონიალზე, საპატიო სტუმრების მასპინძლობისას, ისრაელის ელჩის - შაბთაი ცურის გაცილებისას. ასე იყო რელიგიურ დღესასწაულებზე. ყოველ როშ - ჰაშანასა და ქიფურში სალოცავის აივანზე გადმომდგარი კანფეტების სეტყვას აყრიდა სახლში მიმავალ ჯამაათს და წლიურ საგზლადაც სიტკბოს მიაყოლებდა, სიტკბოებას აკვებებდა. ამბობდა, კარისაკენ ზურგით მჯდომი ფეხის ხმაზე ვცნობ დარბაზში სალოცავად შემოსულ ჯამაათის წევრებსო.

ჯერ იყო და, აშკენაზთა სალოცავის გამშვენიერებას მიჰყო ხელი. ძვირფასი ბროლის ჭაღების სამეული, ლატუნის ხანუქია, ხალიჩები და აბრეშუმის ფარდები უსახსოვრა. მაშინ რიგითი მლოცველი გახლდათ. მერე სარემონტო პროცესს ჩაუდგა სათავეში. ძველი ინტერიერი გამოაცოცხლა: ხის აჟურული თეთრი მაქმანის მსგავსი ჩუქურთმები ლაჟვარდისფერი ფონებით და ოქროცურვილი „სუსალკით“ მოავარაყა, ლატუნის ფურნიტურით გააწყო.

შემდეგ, როცა უკვე დიდი სალოცავის გაბაიდ აირჩიეს, იქაურობაც გაარემონტა, განაახლა: ბროლის ჭაღების სამეულით დაამშვენა, აბრეშუმის ფარდები დაკიდა, ხალიჩები და ფარდაგები მოჰფინა. ზედა სართულზე არონ ჰაკოდეში მძივებით მოოქვილი შინდისფერი ნატიფი, „ჰენდ მეიდი“ ფარდით მორთო, პროფესიონალ დეკორატორს საგანგებოდ რომ დაუკვეთა. ქალთა იარუსზე, წმინდა დღეებში ხალხმრავლობის გათვალისწინებით, ერთგვარი „ამფითეატრიც“ კი ააგო. ხის ფესვებისაგან მთლად დაღვარჭნილ ეზოში უსწორმასწორო ძელქვები ამოაძირკვინა, სიბრტყე გაასწორა და დეკორატიული ფილებით ერთიანად მოაპირკეთა. ქვედა სალოცავის სიძველისაგან ჩამპალი იატაკი ფუძიდან გაამაგრა და განაახლა. ეზოს მარცხნივ ერთგვარი ინფრასტრუქტურა გამართა - დიფერენცირებული სათავსები ამოაშენა. კიბის თავზე კი ტერასა გამართა. მარჯვენა ფრთა კი სრულიად განტვირთა და სუქისთვის სივრცე გახსნა. სალოცავს ძველი ყრუ გალავნის მაგიერ გრაციოზული ჭიშკრით აქცენტირებული და დეკორატიული ნარგავებით დამშვენებული ლითონის ღია ღობე შემოავლო. არქიტექტურულად ამ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებით ქუჩიდან ხედი სრულიად გაიხსნა და სალოცავის დიდებულება „თხემით ტერფამდე“ წარმოჩინდა. ტროტუარიდან ამომავალი კიბის თავზე დასადგმელად ბრინჯაოს ლომების ქანდაკებები ჩამოასხმევინა. კიბის აქეთ-იქეთ გაზონები გამართა. მარჯვნივ იერუსალიმის რეპლიკა მოიხმო და გოდების კედლის პანო დაკიდა ებრაელთა უპირველესი და უწმინდესი სალოცავის - ქოთელის ხედით. მარცხნივ კი ბადრი პატარკაციშვილის ფინანსური შეწევნით იერუსალიმისავე თეთრი ქვით ნაქანდაკევი მასიური ხანუქია დაუკვეთა ზაურ ჯოხაძეს (ზაურ ჯოხაძე ავტორია იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის მიმდებარედ, რუსთაველის ქუჩაზე დადგმული მარმარილოს ბარელიეფისა, რომელიც ჯვრის მონასტრისეული რუსთაველის ფრესკის ნაქანდაკარი ასლია. ამ აქციის თაოსანი პატარკაციშვილი გახლდათ). ამ ხანუქიის გახსნა ჯამაათს დაუვიწყარ ზეიმად უქცია. ახლაც ყოველ ხანუქაში რიტუალურ სანთლებს დარბაზში ბატონი შალვას მიერ შეკვეთილ ლატუნის ხანუქიაში ანთებენ. სალოცავის ფასადს სახურავზე ნათურებიანი მენორა დაადგა. შემოსასვლელი ავანზალი კი ებრაელთა სიმბოლიკით ნაჩუქურთმევი მასიური ხის დიდებული მენორით დაამშვენა. ქვედა დარბაზის ქალთა სექტორი ორიგინალური, მოძრავი აჟურული შირმით მონიშნა. სალოცავის საპარადო შესასვლელი მარმარილოს კამარით მოაპირკეთა და საძირკვლის გაჭრის თარიღი მიანიშნა. კამარის თაღი კი თუჯის მასიური, რესპექტაბელური, ორფრთიანი კარით შეკრა. ფასადის მარმარილოს დაფას სხვადასხვა ენაზე სალოცავის ანოტაცია წააწერა. ესოდენ მოკოპწიავებულ ეზოში მარმარილოს შადრევნები გამართა და ახლად რესტავრირებული სკამძელები ჩადგა.

ებრაული რესტორნის გახსნაც პირველმა ითავა. ეს იმთავითვე სალოცავის ტერიტორიაზე სურდა, მაგრამ სანამ საკითხს საბოლოოდ მოაგვარებდა, ლესელიძის ქუჩაზე ბიჭიკო ასკურავასგან ფართი იქირავა და იქ გახსნილ რესტორანს „ძმათა“ დაარქვა.

სულ ფუსფუსებდა, ყველაფერს თავს დაჰფოფინებდა. მსოფლიოს სინაგოგების კატალოგებს ჩაჰკირკიტებდა, მათ ინტერიერს და ექსტერიერს აკვირდებოდა, ჩვენი სალოცავის დასამშვენებლად კიდევ მეტი იდეებით რომ დამუხტულიყო და შთაგონებულიყო. ღვთისგან ნაბოძი მენეჯერული ნიჭით, ხელს რასაც ჰკიდებდა, ააყვავებდა. ისიც მახსოვს, პატარკაციშვილს რომ სთხოვდა ისრაელში გამართულ სპორტულ ტურნირზე ბატონ ვაჟა ციციაშვილის ვაჟის გამოსვლის დაფინანსებას - ეს ორივე ქვეყნის, ისრაელისა და საქართველოს სახელისათვის არის საჭიროო. რეგიონში დარჩენილ ებრაელთათვის მომსახურების გასაიოლებლად პატარკაციშვილსვე შეაძენინა შოხეტისათვის მსუბუქი ავტომანქანა. არ ავიწყდებოდა იუბილარები. მათთვის შესაბამისი ადრესებისა და საჩუქრების მირთმევა - სალოცავის სახელით ყურადღების გამოხატვა და დაფასება. მისი სახლის კარი დღე-ღამის ნებისმიერ დროს აურაცხელი სტუმრისათვის მუდამ ღია იყო და მომსვლელებს მეუღლესთან ერთად დაუვიწყარ მასპინძლობას უწევდა. საკუთარ თავზე მუშაობდა. თორის სისტემატიურ მტუდირებას ეწაფებოდა, ინდივიდუალურად სრულყოფდა. არ იზარებდა და წმინდა დღეებში საბურთალოდან სინაგოგაში მისასვლელად 8 კილომეტრს ფეხით გადიოდა. დილაობით სალოცავის თებაზე შემდგარი სისტემატიურად წარმართავდა „ზმიროთის“ ლოცვას. სეფერ-თორის ფასუკებს მივიწყებული ახალციხური ნიგუნით თავადვე კითხულობდა. „მეგილათ ესთერის“ ტექსტსაც კი ჩინებულად გაართვა თავი. სლიხოთებს არ აცდენდა. ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ, საკმარისია.

თუმცა, ბოლოს აუცილებლად უნდა ვთქვა მისი ნაღვაწის გვირგვინზე - დიდი სალოცავის ეზოში პატარკაციშვილის სპონსორობით მოწყობილ ჩვენს თალმიდ-ხახამთა მარმარილოს ფეშენებელურ მემორიალზე. იდეის ავტორი და შემსრულებელი თავად გახლდათ. პიედისტალზე დამონტაჟებული მენორითა და სახურავზე დადგმული ლარნაკებით, ზეთის ხილის რტოებით მოჩუქურთმებული ძვირფასი მარ-

მარილოს ამ ანტურაჟში თავმოყრილი სახეები არამარტო სალოცავში შემსვლელთ ეგებებიან და გამომსვლელთ აცილებენ. ეს მემორიალი თავისებური „იად ვაშემი“ ანუ „სახელი და ხსოვნაა“ ჩვენი სულიერი წინაპრების ამაგისა. ეს პერსონიფიცირებული გალერეა წარსულსა და აწმყოს შორის დროთა კავშირის აღდგენაც არის, რადგან სწორად ათი მცნება გვავალდებულებს წინაპართა პატივისცემას. ეს მემორიალი დიდი სალოცავისა და ქართველ ებრაელთა თემის რენომეც გახლავთ, ესოდენ მოჭარბებული ტურისტული ბუმის კონტექსტში თითოეულ ვიზიტორს თვალსაჩინოდ რომ შეახსენებს წინაპართა არდავიწყებას. ბატონი შალვა, როგორც ჩინებული თალმიდი (სიცოცხლის ბოლომდე თორის სწავლასა და ხაზანის ფუნქციის შეთავსებას ვგულისხმობ), იქნებ თავადაც იმსახურებს პერსონალურ ფოტოს თავისივე რუდუნებით დადგმული მემორიალის თალმიდთა გალერეაში?

თავად მე კი პერსონალურად ვუხდი მის ხსოვნას მადლობას, რადგან ჩვენთვის სრულიად უცხო და უცნობმა ამ ადამიანმა, როგორც სალოცავის გაბაიმ, გამოიჩინა ინიციატივა და ჩვენს ლოგინად ჩავარდნილ მოხუც მამას დაეხმარა (ალბათ სიმბოლურიც არის, ებრაული კალენდრით მისი გარდაცვალების და დაკრძალვის თარიღები სწორედ მამაჩემის იმავე თარიღებს რომ დაემთხვა). დიახ, ყოველივე ეს იყო, იყო! თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნული შთამბეჭდავი ფონისა, ეს იდეებითა და ენთუზიაზმით აღსავსე კაცი, სამწუხაროდ, მეტად შეურაცხყოფილი და გულნატკენი წამოვიდა ესოდენ ნაამაგარი სინაგოგიდან. ამ მოუშუშებელ ტკივილს გულში უჩუმრად დაატარებდა. ვეღარ გაუძლო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

მარინა ბუზუკაშვილი

პორტრეტი - სული, სახიერების გავლით

მანანა ჯინჯიხაშვილი

აპრილის თვეში ნიუ-იორკს ცნობილი დრამატურგი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და გამომცემელი გურამ ბათიაშვილი სტუმრობდა. იგი მოწვეული იყო ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მე-15 გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ეს ის ფორუმია, რომლის მაღალი ტრიბუნიდან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ამათუიმ ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა , მსოფლიო ებრაელობისა და იუდეველთა სახელმწიფოს საჭირ-ბოროტო პრობლემებს უზიარებენ ერთმანეთს, მათი გადაჭრის გზებსა და საშუალებებს ეძებენ. გამომდინარე აქედან, კონგრესის განრიგი საკმაოდ დატვირთულია და მისი დელეგატები ძნელად იცლიან სხვა საქმიანი თუ სიციალური შეხვედრებისთვის.

ამ წელსაც, როგორც წინა წლებში, ბ-მა გურამმა ვერ იქნა და ვერ მოიცალა იმ საჩუქრის მისაღებად, რომელიც ნნიუ-იორკში მცხოვრებ მხატვარს ცისანა ჯანაშვილს სურდა გადაეცა საპატიო სტუმრისთვის...

მხატვარს გ. ბათიაშვილის პორტრეტი კარგა ხნის წინ შეუსრულებია, ბ-ნი გურამიც არაერთხელ სწვევია ამ ხნის განმავლობაში ნიუ-იორკს, მაგრამ რაკი მათი შეხვედრა სხვადასხვა მიზეზის გამო ამ გაზაფხულზეც შეუძლებელი ჩანდა, ბ-მა გურამმა თავის ახლო ნათესავს, ამჯერად ქვინსში მცხოვრებ ქ-ნ ნონა ელიგულაშვილს (ცისანა ჯანაშვილი ქვინსში ცხოვრობს) სთხოვა მხატვრისაგან ამ ნობათის წამოღება. რა აზრისა ხართ ამ პორტრეტზე მეთქი, - ვკითხე ქ-ნ ნონას. მიპასუხა: „საოცრად მეტყველი პორტრეტია, და თითქოს მოიცავს მთელ იმ წლებს, რომლებიც გურამს ფიქრში, ანალიზში, დაკვირვებასა და შემოქმედებით ძიებაში გაუტარებია“. სოციალურ ქსელშიც, სადაც ავტორმა ეს პორტრეტი ადრესატისათვის გაგზავნამდე რამდენიმე დღით ადრე განათავსა, ასეთ გამოხმაურებას წაიკითხავდით: ქეთევან ლომიძე (მხატვარი): „ეს პორტრეტი მართლაც მომეწონა ხასიათის ზედმიწევნით ასახვით და ასევე მხატვრული კუთხითაც. თავისუფლად შეგიძლია თქვა, რომ გურამ ბათიაშვილს იცნობ, და არცთუ ურიგოდ“. აქვეა საზოგადოებრივი აქტივისტის მარინა გელაშვილის კომენტარი, რომელიც ბორჯომიდან საუბრობს პორტრეტზე გამოსახულ პიროვნებაზე: „გურამ ბათიაშვილი მრავალმხრივი და ყველაფერში ერთნაირად საინტერესო, შინაარსიანი მოღვაწე ებრაელი და ქართველია. იგი არის ორმაგი ცნობიერების, ორ სამშობლოს თანაბრად რომ უნაწილებს ძალისხმევას. 1997 და 2005 წლებში მე, მარინა გელაშვილმა, მისი ღვაწლისა და ამაგის დასაფასებლად, გავმართე ქართულ-ებრაული ერთიერთობის საღამოები ბორჯომში. გ. ბათიაშვილის შემოქმედებიდან ერთი ნამცეციც არ უნდა დაიკარგოს, მის სახელს ორივე ერმა უნდა უპატრონოს. გურამ ბათიაშვილი დიდი მოღვაწეა, ორი ერის მსახური“.

* * *

ცისანა ჯანაშვილის პალიტრა მდიდარია, თუმცა - თავშეკავებული, რისი ნათელი მაგალითიც გ. ბათიაშვილის და არა ერთი სხვა პორტრეტია, მის ყალამს რომ ეკუთვნის; ცისანა ხატავს რთულ კომპოზიციებს, დ იგი ფერით, ხაზით, შუქ-ჩრდილით, სივრცის სწორად ათვისებით აღწევს საოცარ ეფექტს; მის ნახატზე წაიკითხავთ სევდას, სიყვარულს, დედა-შვილურ სინაზეს, მარტოობის დრამას, შეხვდებით ისტორიულ ფიგურებს, თანამედროვე გმირებს...

2014 წლის სექტემბერში გამოსულ გაზეთ „დავითის ფარში“ (230) ცისანა ჯანაშვილის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სტატიაში, რომელსაც ავტორთა ჯგუფი აწერს ხელს, ვკითხულობთ: „მისი (ცისანა ჯანაშვილის) შემოქმედებითი პალიტრა 250-ზე მეტ ფერწერულ ტილოს ითვლის, რომელთა უმრავლესობაც პორტრეტებია. ბიბლიური, მითიური, ისტორიული თუ თანამედროვე პერსონაჟები წარმოადგენენ მხატვრის მაღალინტელექტუალურ დონეს, სულიერ მისწრაფებებს, დახვეწილ გემოვნებას, უნიკალურობას, განუმეორებლობას“.

ბ-ნი გურამის პორტრეტთან დაკავშირებით ცისანას ვკითხე, თუ იცნობ მეთქი მას პირადად, ან მის შემო,მედებს, და რატომ გაგიჩნდა სურვილი, რომ დაგეხატა.

- შეიძლება ბავშვობაში შევხვედრივარ მამას სახელოსნოში, სადაც მუდამ ტრიალებდნენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. - მპასუხობს ცნობილი

მხატვრის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველი ქართველი ებრაელი კურსდამთავრებულის, მიხეილ ჯანაშვილის ქალიშვილი. - როცა თბილისთან 23 წლიანი განშორების შემდეგ კვლავ ჩავედი ჩემს მშობლიურ ქალაქში, უკვე ნამდვილად შევხვდი მას და მისი პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს, „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“ დავესწარი სანდრო ახმეტელის თეატრში, რომელიც ძალიან მომეწონა. მოგვიანებით მისი ნაწარმოებებიც წავიკითხე. - იცით, - განაგრძობს ჩემი თანამოსაუბრე, - როცა თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს ვკითხულობ, სულ მინდა პირადად ვიცნობდე მათ. და ბ-ნი გურამის გაცნობაც ჩემთვის დიდი საჩუქარი იყო. შემდეგ, როცა აქ, ნიუ-იორკში ჩვენი თემის მოწვევით მობრძანდა ქართველ ებრაელთა სინაგოგაში ჯემალ აჯიაშვილთან ერთად (ცისანას ჯემალ აჯიაშვილის პორტრეტიც აქვს დახატული), ფოტო გადავუღე, და მოვემზადე პორტრეტის შესაქმნელად.

- როცა უშუალოდ პორტრეტზე მუშაობა დაიწყე, მიზნად რას ისახავდი, პერსონაჟის ერთი რომელიმე მხარის წამოწევას თუ შენს ფუნჯს მიენდე და გაყევი?

- ეს ორი მომენტი ერთდროულად ხდება. ფუნჯს შენი ალღო და გემოვნება, შენი მიზანდასახულობა განაგებს. მინდოდა დამეხატა მაღალერუდირებული შემოქმედის სახე, რომელიც ხარბად იწოვს ინფორმაციას, თავის შემოქმედებით ქურაში ატარებს და საზოგადოებას საოცარი ლიტერატურული ქმნილებების სახით აწვდის. სხვათა შორის უნდა ვთქვა, რომ ბ-ნი გურამისაგან ყურადღება არ დამკლებია და ჩემს ნამუშევარში როგორმე მადლობაც მინდოდა გამომეხატა. ერთი სიტყვით, იყო რამდენიმე მომენტი, რის გამოც ნამდვილად მინდოდა ამ პორტრეტის დახატვა. მიზანს თუ მივაღწიე? მორალურად მე მგონი კი, და მხატვრულად... დამთვალიერებელმა განსაჯოს.

- ცისანა, - ვეკითხები ბოლოს ჩემს რესპონდენტს, - შენი, თუნდაც მხოლოდ პორტრეტული შემოქმედება, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სახის ნამუშევრებზე, ნამდვილად იმსახურებს ვრცელ ნაშრომს, სადაც დაწვრილებით იყნება გაანალოზებული მათი ავ-კარგი. შენი გალერეიის ბინადარნი არიან კომპოზიტორები, მწერლები, მხედართმთავრები, პრეზიდენტები. უამრავი ცნობილი ადამიანის პორტრეტი გაქვს დახატული. ეს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები რით ხდებიან შენთვის საინტერესონი?

- ჩემი აზრით, როცა მწერალი, კომპოზიტორი, ან იგივე მხედართმთავარი, ამა თუ იმ საქმეს აკეთებს, აკეთებს ისე, როგორც მას ეს ხელეწიფება, ანუ თავისი ინტელექტუალური თვალსაწიერის, ნიჭის, უნარის, თავისუფლების ხარისხის მიხედვით, და შემდეგ, ის სრულყოფილი მოცემულობა ჩვენამდე მოდის, მიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამისმა „მქმნელმა“ აქ თავისი ავტოპორტრეტი შექმნა. აი, თუ ეს დავინახე, მიჩნდება სურვილი, ამ ავტორის სული სახიერებით გადმოვცე და კიდევ ერთხელ დავანახო ქვეყანას.

- ასე იყო გურამ ბათიაშვილის პორტრეტის შემთხვევაშიც?

- დიახ...

ნიუ-იორკი, 2017
გაზეთი „დავითის ფარი“

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

საბავშვო პროგრამა „შალომ სეზამი“ 2017-2018
აცხადებს 4 წლის ასაკიდან ბავშვების მიღებას
ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლების უახლეს ისრაელურ მეთოდიკას.

პროგრამაშია:

- ებრაული აღზრდა (რელიგიისა და ტრადიციების საფუძვლები)
- მუსიკა
- სიმღერა
- ხატვა
- ივრითი
- ინგლისური ენა
- ექსკურსიები
- საბავშვო სპექტაკლებსა და გასართობ ღონისძიებებზე დასწრება

„შალომ სეზამი“ მუშაობს ყოველდღე
(შაბათ - კვირის გარდა) 10:00-დან 17:00 საათამდე.

ზამთრის პერიოდში შენობა თბება.
გათვალისწინებულია ქაშერი კვება.

ცნობებისათვის მიმართეთ:
ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართ.

საკონტაქტო ტელეფონებია:
2157035, 2770653, 2772311(დამატ. 230), 597994005

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003